CAMARA ENERGY

N 05-01/2021

29 იანვარი, 2021 წ

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის
მინისტრს, ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს „კამარა ენერჯი“ გეგმავს „კამარა ჰესის“ მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების პროექტის განხორციელებას საქართველოს მთავრობასთან 2016 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში. ჰესის ობიექტების მშენებლობა იგეგმება მცხეთა-მთიანეთის მხარეში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებში. ჰიდროელექტროსადგურის პროექტი და მისი ექსპლუატაცია დამყარებული იქნება მდინარის ჩამონადენი წყლის ნაკადზე (კალაპოტის ჰესი), მდინარის ჩამონადენი ნაკადის რეგულირების გარეშე. ჰესის წყალმიმღები განლაგებული იქნება სოფ. ყანობის ახლოს. ჰიდროელექტროსადგურის შენობა განლაგებული იქნება მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე, სოფ. გარბანთან (სოფ. ფანშეტიდან 3კმ მანძილზე).

კამარა ჰეს-ის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების პროექტზე სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, საქართველოს კანონის, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-8 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნის თანახმად, წარმოგიდგენთ ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად მომზადებულ სკოპინგის ანგარიშს.

წერილს თან ერთვის:

- კამარა ჰეს-ის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების პროექტის სკოპინგის ანგარიში - ნაბეჭდი ვერსია 1 ეგზემპლიარი;
- სკოპინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და საქმიანობის განხორციელების პოლიგონის გეოგრაფიული კოორდინატები shape ფაილების სახით CD დისკზე;
- კამარა ჰესის პროექტის განხორციელების თაობაზე საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმი და მისი 2 დამატებითი შეთანხმება - CD დისკზე.

პატივისცემით,

დავით გოჩიაშვილი

შპს „კამარა ენერჯი“ დირექტორი

ხელმოწერა _____

შპს „კამარა ენერჯი“ ... ლორთქიფანიძის 18. ტელ.: +995 599185453

№ 1041
"29" 01 2021 წ.